

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის სხდომის

ოქმი N 10

ქ.ვანი თავისუფლების N65

23 დეკემბერი 2020 წელი

12:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, მალხაზ ცერცვაძე, ივანე კორძაძე, გელა ვარდოსანიძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე,

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ:** კობა ძაგნიძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი, შოთა გიორგაძე, თამთა დვალიშვილი, გია ოჩხიკიძე.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

*/დანართი N1/*

**მოწვეული პირი:** საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ივანე მამფორია.

**კომისიის სხდომის თავმჯდომარე** - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**.

## დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბიუჯეტის პროექტის პროგრამული დანართი, 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი და არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი.

მომხს: ივანე მამფორია

### მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებლმა ივანე მამფორიამ კომისიის წევრებს გააცნო 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბიუჯეტის პროექტის პროგრამული დანართი, 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი და არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი.

მომხსენებლმა აღინშა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის, ასევე 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და ამ დანართის შემუშავება განხორციელდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის ახალი

მეთოდოლოგიის შესაბამისად. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგია, სხვა მეთოდურ მითითებებთან ერთად, განსაზღვრას საქართველოს სახელმწიფო, ავტონომური და ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების შედგენის ფორმატს, ბიუჯეტის სტრუქტურას, დანართებს და ინფორმაციის ჩამონათვალს თუ რას უნდა მოიცავდეს წლიური ბიუჯეტის პროექტი და თანდართული დოკუმენტაცია.

2018 წელს დამტკიცებული ახალი მეთოდოლოგიით განსაზღვრული ფორმატით ბიუჯეტის შედგენა მუნიციპალიტეტებისათვის სავალდებულო ხდება 2019 წლიდან, 2020 წლის ბიუჯეტის მომზადებისთვის. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავდა და ახლებურად არის წარმოდგენილი 2021 წლის ბიუჯეტის ფორმატი, შეიცვალა პრიორიტეტების დოკუმენტის სტრუქტურა და შინაარსი. წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტის დანართიც სწორედ ახალი მეთოდოლოგიის მოთხოვნათა შესაბამისად არის შემუშავებული. პროგრამულ დანართში, ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტისაგან განსხვავებით, მუცემულია ვანის 2021 წლის ბიუჯეტით განსახორციელებელი პროგრამების და ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორები. მასში წარმოდგენილია ის პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელთა დაფინანსებასაც ითვალისწინებს 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი. პროგრამების (ქვეპროგრამების) აღწერა და ასიგნებების საპროგნოზო მოცულობები წარმოადგენილია მომავალ 4 წელზე, ხოლო მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები ხშირ შემთხვევებში მოიცავს მხოლოდ 2021 წელს. შემდგომ წლებში, ისივე როგორც პროგრამების აღწერა და მიზანი, ასევე მოსალოდნელი შედეგებიც და შედეგების შეფასების ინდიკატორები კიდევ უფრო მეტად დაიხვეწება და წარმოდგენილი იქნება დასაგეგმ და სადაგეგმის შემდგომ 3 წელზე.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

### **დაადგინეს:**

წარმოდგენილი საკითხი გატანილი იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე